www.24saati.ge

24 საათი

The New York Times
International Weekly
ყოველ სამშაბათს

© გაზეთი 24 საათი | ორშაბათი, 9 ივლისი, 2012 წელი. | №3059 (152) | ფასი 50 თეთრი

საქართველოს შესახებ რეზოლუციას მხარი დაუჭირეს

მარი ახსიაშვილი

გუშინ მონაკოში, ეუთო-ს პოლიტიკურმა კომიტეტმა მხარი დაუჭირა რეზოლუციას, რომელშიც საუბარია საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიების, დევნილთა უპირობო დაბრუნებისა და ცეცხლის შეწყვეტის ხელშეკრულების შეუსრულებლობის შესახებ. ეუთო-ს პოლიტიკურმა კომიტეტმა პირველად გამოიყენა ტერმინი "ოკუპაცია".

რეზოლუციაზე საბოლოო კენჭისყრა ეუთო-ს საპარლამენტო ასამბლეის დღევანდელ სხდომაზე გაიმართება, მანამდე კი პოლიტიკურ კომიტეტში რუსეთის დელეგაცია კვლავ შეეცადა, დოკუმენტის ტექსტიდან ტერმინის "ოკუპირებული ტერიტორიების" ამოღებისთვის მიეღწია, თუმცა ორგანიზაციის წევრი ქვეყნების წარმომადგენელთა წინააღმდეგობას წააწყდა. რეზოლუციის წინააღმდეგ მხოლოდ რუსეთის დელეგაცია გამოვიდა. მისმა ხელმძღვანელმა ნიკოლაი კოვალიოვმა დოკუმენტს ცალმხრივი, არაობიექტური, არაკორექტული, ანგაჟირებული და რეალობას მოწყვეტილი უწოდა.

გაგრძელება
მე-2 გვერდზე

საქართველო-აზერბაიჯანის საზღვრის ჟურნალისტური „დემარკაცია„

თამარ კაკიტაძე

დავით გარეჯში, მონასტერ უდაბნოსკენ ქართველი და უცხოელი ტურისტები თავისუფლად გადაადგილდებიან, პრობლემა აღარც მომლოცველებს ექმნებათ და აღარც ბერ-მონაზონთ. აზერბაიჯანელი მესაზღვრეები, რომლებიც 6 მაისის შემდეგ ჩიჩხიტურის კოშკთან და სამების ეკლესიასთან დადგნენ, კვლავ ინარჩუნებენ პოზიციას. მათგან რამდენიმე მეტრის მოშორებით დგანან ქართველი მესაზღვრეებიც.

გაგრძელება
მე-2 გვერდზე

კრასნოდარის მხარე - სტიქიური უბედურების ზონა

ხათუნა გაბიევი

ოფიციალური მონაცემებით, 160 დაღუპული, 100-ზე მეტი უგზო-უკვლოდ დაკარგული და 1000-ზე მეტი დაშავებული - ასეთია კრასნოდარის მხარეში მომხდარი სტიქიური უბედურების სტატისტიკა. წყალდიდობა, ადამიანური მსხვერპლი და სერიოზული ეკონომიკური ზარალი გადაუღებელ წვიმას მოჰყვა. განსაკუთრებით სავალალო მდგომარეობაში ნოვოროსიისკი, გელენჯიკი, ვოლგის ოლქი და კრიმსკი აღმოჩნდა.

გაგრძელება
მე-3 გვერდზე

ლონდონში წამსვლელ ძიუდოისტთა ვინაობა ცნობილია

1 აშშ დოლარი	1.6452⇓
1 ევრო	2.0679⇓
1 ინგლისური გირვანქა	2.5746⇓
1 თურქული ლირა	0.9116⇓
100 რუსული რუბლი	5.1083⇓

თბილისი	33°C - 21°C
ქუთაისი	29°C - 18°C
თელავი	33°C - 16°C
ზუგდიდი	28°C - 17°C
ბათუმი	26°C - 17°C

ნავთობი	2.75	-0.01	-0.43%
გაზი	2.91	+0.02	+0.55%
ოქრო	1,618.60	-3.20	-0.20%
ხორბალი	799.25	+0.00	+0.00%

"24 საათის" ელექტრონული ვერსია იხილეთ Web-გვერდზე
www.24saati.ge
ჩვენი პარტნიორები:
თიბისი ბანკი TBC BANK
ჩვენ ვაძლიერებთ ერთმანეთს
FM 102.4 საქართველოს საზოგადოებრივი მაუწყებელი
ბანკი კონსტანტა BANK CONSTANTA
ISSN 1987 9121
9 771987 912100 >

შენგელიამ "ნეთსის" მწვრთნელი მოხიბლა



თორნიკე შენგელიამ NBA-ს მიმართულებით პირველი სერიოზული ნაბიჯი უკვე გადადგა. ახალგაზრდა ქართველი კალათბურთელი დრაფტზე იყო წარდგენილი. თოკო 54-ე ნომრად "ფილადელფიამ" აირჩია და მაშინვე "ბრუკლინ ნეთსს" მიჰყიდა. ამის თაობაზე ქართული კალათბურთის გულშემატკივრისთვის კარგად არის ცნობილი. ისიც ცნობილია, რომ ახლა ყველაფერი თავად თორნიკეზეა დამოკიდებული. დარჩება თუ არა შენგელია "ნეთსში", ეს ორლანდოს საზაფხულო ლიგაზე უნდა გაირკვეს. თამაშები ორშაბათს დაიწყება და თოკო "ნეთსის" რიგებში იასპარეზებს.

ქართველი ფორვარდი უკვე საქმეში მახა "ნეთსის" მთავარმა მწვრთნელმა აივერ ჯონსონმა და ნანახით კმაყოფილი დარჩა. მეტიც, ჯონსონს იმდენად მოეწონა ქართველი ფორვარდი, რომ გუნდში მის დატოვებაზე უკვე სერიოზულად ფიქრობს.

გაგრძელება
მე-7 გვერდზე

ფასდაკლების კუპონი

აქცია ექსკლუზივი

24 საათი | Weekend | ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა | საქართველოს ფოსტა GEORGIAN POST

4 ივნისიდან 4 ივლისის ჩათვლით!
ექსკლუზიურად „24 საათის“ და „Weekend“-ის მკითხველისთვის!

- ამოჭერი კუპონი და მიიღე ექსკლუზიური ფასდაკლება „ბაკურ სულაკაურის გამომცემლობის“ წიგნებზე „საქართველოს ფოსტის“ პრესის ჯიხურებში მთელი საქართველოს მასშტაბით, თქვენთვის მოსახერხებელ ადგილას.
- აირჩიე 5 წიგნიდან შენთვის სასურველი 1 წიგნი და შეიძინე საუკეთესო ფასად!

ყვავი ცალიწინდა ოინგაზოგს	~~5.90~~	4.90
ჰარი პოტერი და საიდუმლო ოთახი	~~9.00~~	4.00
ფალიაშვილის ქუჩის ძაღლები	~~6.90~~	3.00
ქართველები ამერიკაში	~~17.90~~	11.90
კავკასიის გეოპოლიტიკური ატლასი	~~15.90~~	11.00

საქართველოს შესახებ რეზოლუციას მხარი დაუჭირეს

პირველი გვერდიდან

"დოკუმენტი არ ითვალისწინებს კავკასიის რეგიონში კონფლიქტების თვალსაზრისით შექმნილ მდგომარეობას. ეს ახალი რეალობა ის არის, რომ საქართველომ დაკარგა ტერიტორიული მთლიანობა, აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონმა კი დამოუკიდებლობა მიიღო, რასაც საერთაშორისო საზოგადოებამ თვალი უნდა გაუსწოროს," - განაცხადა კოვალიოვმა.

რეზოლუციის პროექტის ავტორია პოლონელი დეპუტატი მიხაელ შებრა. მისი თქმით, აუცილებელია, რომ ეუთო-ს საპარლამენტო ასამბლეამ შეაფასოს საქართველოს ოკუპაცია და საკუთარი პოზიცია დააფიქსიროს. ის დარწმუნებულია, რომ დოკუმენტის მიღება რუსეთზე გავლენას მოახდენს და აიძულებს, თავისი სამხედრო შენაერთები საქართველოდან გაიყვანოს.

"დოკუმენტი მნიშვნელოვან როლს ითამაშებს პოლიტიკაში. ეს, გარკვეულწილად, საერთაშორისო თანამეგობრობის ხმაა. რეზოლუციას ერთდროულად 51 ქვეყნის წარმომადგენელი მიიღებს," - აღნიშნა შებრამ.

დებატებისას საქართველოს დელეგაციის ხელმძღვანელმა გიგი წერეთელმა განაცხადა, რომ ეს სწორედ ის დოკუმენტია, რომელიც საქართველოში არსებულ ვითარებას ასახავს.

"ეს ეხება ჩვენი ტერიტორიების ოკუპაციას და ასევე საერთაშორისო დამკვირვებლებს, რომელთა მოღვაწეობაც ოკუპირებულ რეგიონებში შეზღუდულია. ყველა საპარლამენტო ასამბლეამ უკვე მიიღო რეზოლუციები, რომლებშიც რეალობა უფრო მკაცრი ენით არის აღწერილი. მართებულია, რომ ამაზე ეუთო-ც ამახვილებს ყურადღებას და იზიარებს ამ პრინციპებს," - დასძინა გიგი წერეთელმა.

პოლონელი დეპუტატის მიხეილ შერბას თანაავტორია ეუთო-ს წევრი 9 სახელმწიფოს 36 პარლამენტარი. რეზოლუციაში წერია, რომ ეუთო-ს საპარლამენტო ასამბლეა მოუწოდებს მხარეებს, დაიცვან საერთაშორისო სამართლის პრინციპები, შეასრულონ ცეცხლის შეწყვეტის ხელშეკრულება, უზრუნველყონ შიდა ადგილნაცვალ პირთა უსაფრთხო და ღირსეული დაბრუნება. ასამბლეა მოუწოდებს რუსეთის მთავრობასა და პარლამენტს, ასევე საქართველოს რეგიონების - აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის დე ფაქტო ხელისუფლებებს, ნება დართონ ევროკავშირის დამკვირვებელთა მისიას, დაუბრკოლებლად შევიდნენ აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის ოკუპირებულ ტერიტორიებზე.

საქართველო-აზერბაიჯანის საზღვრის ჟურნალისტური „დემარკაცია„

პირველი გვერდიდან

სად გადის საქართველო-აზერბაიჯანის საზღვარი, რატომ დგანან ქართულ მონასტერთან, ან როდემდე იდგებიან, აზერბაიჯანელმა მესაზღვრეებმა არ იციან. არც ის იციან, მაინც და მაინც 6 მაისს რატომ უბრძანეს ამ პოსტზე დადგომა. როგორც იქაური კაპიტანი (გვარის და სახელის გამხელას ერიდება) გვიხსნის, მათ ნაბრძანები აქვთ დაიკავონ ეს პოზიცია - დილის 8 საათიდან საღამომდე. დაბინდებისას კი უკან, აზერბაიჯანულ სასაზღვრო პუნქტში ჩადიან, რომელიც 400 მერტის მოშორებით არის უდაბნოს მონასტრისგან. ახალი სასაზღვრო საგუშაგოს გახსნის მიზეზი არც ქართველმა მესაზღვრეებმა იციან. ისინიც დილით ადიან უდაბნოს მონასტერთან, აზერბაიჯანელი მესაზღვრეებისგან დაახლოებით ხუთი მეტრის მოშორებით დგანან და საღამოს ჯანდარის სასაზღვრო პუნქტში ბრუნდებიან.

მესაზღვრეებს მეზობელ სახელმწიფოებს შორის მოლაპარაკების იმედი აქვთ, რის შემდეგაც გაირკვევა მათი პარტულირების პერიმეტრიც და დროც.

ქართულ-აზერბაიჯანული მოლაპარაკების მშვიდად და გონივრულად დასრულების მიედი აქვს აზერბაიჯანელ ჟურნალისტს რამან პიჩოვსაც, რომელმაც სადავო ტერიტორიები "24 საათის" ჟურნალისტებთან და სტუდია "რე"-ს ხელმძღვანელთან ერთად მოინახულა. მეგზურობა გარეჯის უდაბნოს მონასტრისკენ ლავრაში მოღვაწე მამა კირიონმა გაგვიწია, რომელიც გარეჯში 1997 წლიდან ცხოვრობს და მონასტრის ბოლო პერიოდის ისტორიის თვითმხილველია.

მამა კირიონის თქმით, ბოლო წლების განმავლობაში აზერბაიჯანელი მესაზღვრეები ჩიჩხიტურის კოშკზე და უდაბნოს მონასტერში უკვე მეორედ გამოჩდნენ; პირველად - 2007 წელს. ისინი კოშკიდან ქვევით, საქართველოს მხარეს ჩამოვიდნენ და ქართველ ბერებს კელიების შესაკეთებლად გაკეთებული ხარაჩოები დაუნგრიეს. თუმცა მაშინ ორი ქვეყნის ხელისუფლებას შორის მოლაპარაკება შედგა და აზერბაიჯანელმა მესაზღვრეებმაც თავისი ქვეყნისკენ მალევე გადაინაცვლეს. მეზობელი ქვეყნის ამგვარი ქმედების მიზეზი ქართველი ბერებისთვის მაშინაც გაურკვეველი დარჩა. მათ დღემდე ისიც არ იციან, რა მოხდა ამა წლის 6 მაისს. მონასტერ უდაბნოში აზერბაიჯანელი მესაზღვრეების ასვლის შესახებ ბერებმა მომლოცველებისგან შეიტყვეს. დავით გარეჯში მოღვაწე მამებმა მომხდარის შესახებ საპატრიარქოს შეატყობინეს, საპატრიარქომ კი - საგარეო საქმეთა სამინისტრო ჩააყენა საქმის კურსში. აზერბაიჯანელმა მესაზღვრეებმა დაკავებული პოსტი რამდენიმე დღის შემდეგ, 21 მაისს დატოვეს, თუმცა შემდეგ ისევ ამოვიდნენ და პატრულირებას დღემდე აგრძელებენ.

მეზობელი ქვეყნის მესაზღვრეების უდაბნოში ამოსვლის ვერსიას აზერბაიჯანელი ჟურნალისტი რამან პიჩოვი ბაქოში შექმნილი დაძაბული სიტუაციით ხსნის. მისი თქმით, მაისის დასაწყისში ბაქოში გავრცელდა ინფორმაცია მოსალოდნელი ტერაქტების შესახებ. მაშინ აზერბაიჯანის მთავრობამ ქვეყანა საგანგებო მდგომარეობაზე გადაიყვანა და საზღვრების გაკონტროლება გააძლიერა.

"ჩემი აზრით, სწორედ ამას უნდა უკავშირდებოდეს გარეჯის საზღვარზე აზერბაიჯანელი მესაზღვრეების ამოსვლა," - გვიხსნის კოლეგა მეზობელი ქვეყნიდან და იქვე განმარტავს: **"ადგილი, სადაც მესაზღვრეები დგანან, ყველაზე მაღალი წერტილია ამ მთაზე, ეს კი იმას ნიშნავს, რომ იგი სტრატეგიულად ყველაზე მომგებიანი ტერიტორიაა. აქედან მთელი საზღვარი ხელისგულზეა გადაშლილი და ამიტომაც დაიკავეს ჩვენმა მესაზღვრეებმა ეს პოზიცია."**

არის თუ არა უდაბნოს მონასტერი აზერბაიჯანის ტერიტორიაზე, ამაზე მეზობელი ქვეყნის ჟურნალისტი კომენტარს არ აკეთებს. მით უმეტეს, რომ მოგზაურობისას სტუდია "რეს" ხელმძღვანელი მამუკა ყუფარაძე "აიპადის" დახმარებით CPS და გუგლის საერთაშორისო ინტერნეტ რუკებს ადევნებს თვალს და ზუსტად განსაზღვრავს, რომდენი მერტის დაშორებით ვიმყოფებით აზერბაიჯანის საზღვარისგან. საერთაშორისო რუკებზე დაყრდნობით, უდაბნოდან აზერბაიჯანის საზღვარი ყველაზე მცირე 32 მეტრითაა დაშორებული. რა თქმა უნდა, ეს ციფრები სხვადასხვა მონაკვეთზე იცვლება. იმ ადგილას კი, სადაც მესაზღვრეები დგანან, ანუ სამების ეკლესიის მახლობლად, აზერბაიჯანის საზღვარი 42 მეტრის მოშორებით ფიქსირდება.

ერთი სიტყვით, საზღვრის საკითხი რომ ნამდვილად დასაზუსტებელი და დასადგენია, ამაზე უცხოელი კოლეგა არ დავობს. რამან პიჩოვისთვის არც ის გამხდარა სადავო, რომ უდაბნოს მონასტერში შემორჩენილი IV,VIII,IX,XVI საუკუნის ფრესკები ნამდვილად ქართული კულტურის ნაწილია.

"ჩემი აზრით, ყველაფერი ხელისუფლებებს შორის მოლაპარაკებაზეა დამოკიდებული. დარწმუნებული ვარ, რომ ყველაფერი ისე გადაწყდება, როგორც ორივე ქვეყნის ინტერესებს წაადგება. ჩვენ მეგობარი ქვეყნები ვართ. აზერბაიჯანი უამრავ ინვესტიციას დებს საქართველოში და დაძაბულობა არც ერთი ქვეყნის ინტერესში არ შედის," - ამბობს აზერბაიჯანელი ჟურნალისტი და გარეჯთან დაკავშირებით მის ქვეყენაში გავრცელებულ კიდევ ერთ ინფორმაციას გვაწვდის.

"როგორც ბაქოში ამბობენ, საუბარია გარეჯის ტერიტორიის საქართველოში შემავალ შვიდ აზერბაიჯანულ სოფელში გაცვლაზე," - ამბობს რამან პიჩოვი.

ჯერჯერობით კი, აზერბაიჯანელთა პატრულირება გრძელდება; გრძელდება მილაპარაკებებიც...

ბაჩო ახალაიას მოადგილეების ვინაობა ცნობილია

შინაგან საქმეთა ახალ მინისტრს ბაჩო ახალაიას, ხუთის ნაცვლად, ექვსი მოადგილე ეყოლება. "საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს დებულების დამტკიცების შესახებ" საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულებაში შესული შესაბამისი ცვლილების მიხედვით, ახალ მინისტრს ეყოლება პირველი მოადგილე და დანარჩენი ხუთი მოადგილე, რომელთაგან ერთ-ერთი, იმავდროულად, შსს-ს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების - საქართველოს სასაზღვრო პოლიციის უფროსიც იქნება.

შინაგან საქმეთა სამინისტროში განხორციელებულ საკადრო ცვლილებებთან დაკავშირებით, სამინისტრომ ოფიციალურ ინფორმაცია გაავრცელა, რომლის თანახმადაც, შს მინისტრის პირველ მოადგილედ ეკატერინე ზღულაძე დაინიშნა. მინისტრის მოადგილეებად - შოთა ხიზანიშვილი, შალვა ჯანაშვილი, გიორგი ლორთქიფანიძე, ნოდარ ხარშილაძე.

შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილე და სასაზღვრო პოლიციის უფროსი გახდა ნიკა ძიმცეიშვილი, სპეციალური ოპერატიული დეპარტამენტის დირექტორი - პოლიციის პოლკოვნიკი ვახტანგ ბოჭორიშვილი. კონსტიტუციური უსაფრთხოების დეპარტამენტის დირექტორი - პოლკოვნიკი ლევან ქარდავა.

შსს-ს კონტრდაზვერვის დეპარტამენტის დირექტორი - ვიცე-პოლკოვნიკი რევაზ შიუკაშვილი. შსს-ს გენერალური ინსპექციის უფროსი - პოლიციის პოლკოვნიკი თენგიზ გუნავა.

რაც შეეხება სამხარეო სამმართველოებს: შსს-ს იმერეთის, რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის სამხარეო მთავარი სამმართველოს უფროსად პოლიციის ვიცე- პოლკოვნიკი ალექსანდრე სვინტრაძე დაინიშნა, შსს-ს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავარი სამმართველოს უფროსად - პოლიციის ვიცე-პოლკოვნიკი გიორგი კოკაია, შსს-ს მცხეთა-მთიანეთის სამხარეო მთავარი სამმართველოს უფროსად - პოლიციის პოლკოვნიკი ლევან კახიანი, შსს-ს შიდა ქართლის სამხარეო მთავარი სამმართველოს უფროსად - პოლიციის მაიორი ილია გამგებელი. შსს-ს კახეთის სამხარეო მთავარი სამმართველოს უფროსად - პოლიციის კაპიტანი ვეფხია საგინაშვილი, ქალაქ თბილისის პოლიციის მთავარი სამმართველოს უფროსად - ირაკლი ყიფშიძე.

საკუთარი ინფორმაცია

შვიდდღიანი ვადა ჯარიმების გადასახდელად

თბილისის საქალაქო სასამართლომ პარტიების ფინანსური მონიტორინგის სამსახურის მიერ შედგენილი ოქმები, რომელთა თანახმადაც, პოლიტიკური პარტიების 17 წარმომადგენელი სამართალდამრღვევად გამოცხადდა, სამართლიანად ცნო და შესაბამისად, სამართალდამრღვევებს, პარტიებისთვის გაღებული შემოწირულობის ხუთმაგი ოდენობის ჯარიმა დააკისრა.

სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა პოლიტიკური პარტიების დაფინანსების გამჭვირვალობის უზრუნველყოფის მიზნით, პოლიტიკური გაერთიანებებისთვის შეწირული თანხების წარმომავლობის დასაბუთებულობის დასადგენად, პირველ ეტაპზე 32 პირი მიიწვია. სულ გამოკითხა - 27 პირი (მათ შორის "ერთიანი ნაციონალური მოძრაობიდან" - 6, "თავისუფალი საქართველოდან" - 4, "ეროვნული ფორუმიდან" - 8, "კონსერვატიული პარტიიდან" - 5, "რესპუბლიკური პარტიიდან" - 2, "ქართული ოცნებიდან"- 2).

როგორც ფინანსური მონიტორინგის სამსახურში ირწმუნებიან, გამოკითხვის შედეგად შემოწირულობის კანონიერება მხოლოდ 10-მა პირმა დასაბუთა. დანარჩენმა 17-მა კი, სასამართლოს გადაწყვეტილებით, გაღებული თანხის ხუთმაგი ოდენობის ჯარიმა სასამართლო გადაწყვეტილების ჩაბარებიდან შვიდი დღის ვადაში უნდა გადაიხადონ.

სასამართლო პროცესი არნახული და გაუგონარი დარღვევებით ჩატარდა. 17 სამართალდამრღვევის საქმე მოსამართლემ ერთ საქმედ გაერთიანა. ადვოკატებმა გუშინდელი გადაწყვეტილების გასაჩივრებას გეგმავენ.

ნიხილა და არ დააკმაყოფილა ადვოკატების არც ერთი შუამდგომლობა იმ მოტივით, რომ პროცესი დაჩქარებული ტემპით მიდიოდა და ამ პროცესისთვის 48 საათი ჰქონდა, - ასე აფასებენ დაჯარიმებულების ინტერესების დამცველები გუშინდელ სასამართლო პროცესს. ადვიოკატები გუშინდელი გადაწყვეტილების გასაჩივრებას გეგმავენ.

გარდაცვლილი პატიმრის ოჯახი ექსპერტიზას არ ენდობა

გავრცელებული ინფორმაცია კიდევ ერთი პატიმრის გარდაცვალებასან დაკავშირებით, სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიულ დახმარების საკითხთა სამინისტრომ ოფიციალურად დაადასტურა.

პატიმრის გარდაცვალებასთან დაკავშირებით ურთიერთგამომრიცხავი ინფორმაცია ვრცელდებოდა. სამინისტროც სწორედ ამ გაურკვევლობას პასუხობს:

რომ არ მოხდეს საზოგადოების შეცდომაში შეყვანა, სამინისტროს მიზანშეწონილად მიაჩნია მსჯავრდებულის გარდაცვალებასთან დაკავშირებით საზოგადოებას ამცნოს შემდეგი ინფორმაცია: მიმდინარე წლის 5 ივლისს სასჯელაღსრულების სისტემაში უეცრად გარდაიცვალა მსჯავრდებული მ.ბ. გარდაცვალების სავარაუდო მიზეზი - გულსისხლძარღვთა მწვავე უკმარისობაა. მსჯავრდებულ მ.ბ.-ს გარდაცვალებასთან დაკავშირებით, 2012 წლის 5 ივლისს, ისევე, როგორც ყველა შემთხვევაში, ამ ფაქტთან დაკავშირებით მყისიერად დაინიშნა ექსპერტიზა. სამინისტრო მოუწოდებს ყველა დაინტერესებულ მხარეს, თავი შეიკავოს ზემოაღნიშნული სამწუხარო ფაქტის წინასწარი შეფასებებისაგან," - ნათქვამია სამინისტროს ოფიციალურ განცხადებაში.

გარდაცვლილი პატიმრის ოჯახის წევრები სასჯელაღსრულების სამინისტროს მიერ ჩატარებულ ექსპერტიზას არ ენდობიან და დამოუკიდებელი ექსპერტიზის ჩატარებას ითხოვენ. ამის მიზეზად ისინი გარდაცვლილს სხეულზე არსებულ დაზიანებებს ასახელებენ და ვარაუდობენ, რომ პატიმარი მოკლულია.

21 წლის პატიმრის მიხეილ ბაზაზიანის გარდაცვალების შესახებ ინფორმაციის გავრცელებამდე, სხვადასხვა ქსელით ასევე გავრცელდა ინფორმაციები გლდანის N 8 სასჯელაღსრულების დაწესებულებაში მომხდარ არეულობასა და დაწესებულებაში სპეციალური დანიშნულების რაზმის შესვლის თაობაზე. საუბარი იყო ორ გარდაცვლილ პატიმარზეც. სახალხო დამცველის წარმომადგენელები იმყოფებოდნენ გლდანის N 8 დაწესებულებაში. ვიზიტის დროს მათ შემოიარეს დაწესებულების ყველა კორპუსი. ომბუდსმენის აპარატის ინფორმაციით, დაწესებულება ჩვეულ რეჟიმში ფუნქციონირებდა და მასობრივი არეულობის ან რაიმე ინციდენტის ნიშნები არ აღინიშნებოდა.

გლდანის ციხეში რაიმე ინციდენტის არსებობა კატეგორიულად უარყო სასჯელაღსრულების სამინისტრომაც.

გაზეთ "24 საათის" გამომცემელი შპს "ვვპ". რედაქტორ-გამომცემლები:
მამუკა ფაჩუაშვილი, პაატა ვეშაპიძე.
რედაქცია: სოფიკო ჩხაიძე (მთავარი რედაქტორი), რედაქტორები: მაია ჭალაგანიძე (საზოგადოება,Weekend), ინგა ალავიძე (სამართალი), დავით ნინიკაშვილი (ბიზნესი), ივა შილაკაძე (უცხოეთი)
სოფო კილასონია (რევიუ), კახა ფაჩუაშვილი (სპორტი). **რეკლამის და მარკეტინგის მენეჯერი** ირაკლი ლეჟავა ტელ: 899 22 09 49. **კომპიუტერული ცენტრი:** თამაზ ჩხაიძე (მენეჯერი), ირმა ჯიშკარიანი, თენგიზ ქირია, ნინო ყაველაშვილი
რედაქციის მისამართი: ქ თბილისი, კოსტავას ქ. № 68, საზოგადოებრივი მაუწყებელი, მე-3 კორპუსი, მე-3 სართული. ტელ: 40-94-45; 40-94-46; 40-94-47; 40-94-48 ელ-ფოსტა: public@24hours.ge

კრასნოდარის მხარე - სტიქიური უბედურების ზონა

პირველი გვერდიდან

წყლის დონის კატასტროფულად მატება და საცხოვრებელი სახლებისა და სხვა შენობა-ნაგებობების დატბორვა 6 ივლისს, ღამით დაიწყო, მაგრამ ყველაზე შემზარავი ნებერჯაევის წყალსაცავზე მომხდარი შემთხვევა აღმოჩნდა: ავტომატურ რეჟიმზე გადაყვანილი ჩამკეტები დროის გარკვეული ინტერვალით იხსნებოდა და წყლის გადაგდება მთლიანად ყუბანის ქალაქ კრიმსკზე ხდებოდა - მძინარე ქალაქს წყალი 13 საათის განმავლობაში უტევდა. ქალაქში წყლის დონემ 6 მეტრს რამდენიმე წუთში მიაღწია. საგანგაშოდ დიდი მსხვერპლიც - 130 ადამიანი სწორედ ამ არეალში დაფიქსირდა. დაღუპულთა უმრავლესობა მოხუცებულები და ბავშვები არიან, რომლებმაც თავის შველა დამოუკიდებლად ვერ შეძლეს. 9 ივლისი რუსეთში ეროვნული გლოვის დღედ გამოცხადდა, სახელმწიფო დაწესებულებებზე დაშვებული დროშები, სატელევიზიო არხებს კი რეკომენდაცია მიეცათ, თავი შეიკავონ გასართობი პროგრამების ტრანსლაციისგან. სტიქიური უბედურების დროს დაღუპულთა გარდა, დღეს რუსეთში უკრაინაში მომხდარი ავტოკატასტროფის მსხვერპლთაც დასტირიან - ორი დღის წინ რუსი მომლოცველები მძღოლის დაუდევრობას შეეწირნენ. სამძიმარი რუსეთის პრეზიდენტ ვლადიმირ პუტინს მისმა უკრაინელმა კოლეგამ ვიქტორ იანუკოვიჩმაც გამოუცხადა.

სტიქიამ, კრასნოდარის მხარეში საცხოვრებელი სახლებისა და საზაფხულო ბანაკების გარდა, ძლიერ დააზიანა ავტომაგისტრალები, ხიდები და კაშხალი. სამაშველო სამსახურის წარმომადგენლები, უკვე მესამე დღეა, მოსახლეობის ევაკუაციაზე ზრუნავენ. მოსკოვიდან თვითმფრინავები და ვერტმფრენები საგანგებო სიტუაციების სამინისტრომ სტიქიის პირველსავე დღეს გაგზავნა. კრიმსკში დაკარგული დოკუმენტაციის შემცვლელი საბუთების გაცემა უკვე დაწყებულია, დღეიდან კი დაზარალებულთათვის კომპენსაციის დარიგებაც დაიწყება. ხელისუფლების განცხადებით, თითოეული დაზარალებული 50-დან 100 ათასამდე რუბლის ოდენობის კომპენსაციას მიიღებს. დაღუპულთა ოჯახებისთვის განსაზღვრული თანხა 2 მილიონ რუბლს შეადგენს. სტიქიური უბედურების ზონაში ა ჰეპატიტსა და დიზენტერიაზე ვაქცინაცია კვირას დაიწყო. ოფიციალური მოსკოვის განცხადებით, ადგილობრივი მოსახლეობის გარდა, მძიმე მდგომარეობაში იმყოფებოდა 7 ათასზე მეტი ბავშვი, რომლებიც საზაფხულო ბანაკებში ისვენებდნენ.

ამ დრომდე ელექტროენერგიის გარეშეა დარჩენილი თითქმის 30 ათასი ადამიანი. **"ელექტრომომარაგება შეწყვეტილია 7 დასახლებულ პუნქტში, რომელთა მოსახლეობაც 28 ათასს აღემატება,"** - განაცხადეს საგანგებო სიტუაციების მართვის სამინისტროში.

კრასნოდარის მხარეს კვირას რუსეთის პრეზიდენტი ეწვია, რომელმაც დატბორილი რეგიონები თვითმფრინავიდან დაათვალიერა და სპეციალური კომისიისთვის საგანგებო განკარგულებებიც გასცა. ვლადიმირ პუტინმა სპეციალისტებს სთხოვა, გამოიძიონ, მოსალოდნელი საფრთხის შესახებ მოსახლეობის დროულად გაფრთხილება და მათი ევაკუაცია რატომ არ მოხდა. გარდა ამისა, პრეზიდენტის აზრით, გასარკვევია წყალსაცავების მუშაობის გამართულობის საკითხიც. მომხდარზე უკვე აღძრულია სისხლის სამართლის საქმე ადამიანის სიცოცხლის გაუფრთხილებლობით ხელყოფის მუხლით.

როგორც ექიმები აცხადებენ, ადამიანების დაღუპვის მიზეზი, დახრჩობის გარდა, სხეულის გადაციებაც გახდა, ბევრ მათგანს მეტისმეტად დიდხანს მოუხდა წყალში ყოფნა. სამართალდამცავებმა კრიმსკში მაროდიორებიც დააკავეს, რომლებიც მიტოვებული სახლებიდან ძვირფასეულობას ეზიდებოდნენ. თუმცა, როგორც მაშველები აღნიშნავენ, მრავალ ოჯახში მამაკაცებმა უარი თქვეს სახლების დატოვებაზე, მათ საგანგაშო პირობებში დარჩენა და მძარცველებისგან ოჯახების გადარჩენა არჩიეს.

სტიქიის შედეგების ლიკვიდაციაზე ათასობით მაშველი და ავარიული ბრიგადის სპეციალისტები მუშაობდნენ. ორდღიანი იერიშის შემდეგ სტიქიამ უკან დაიხია, მაგრამ კრიმსკში ინტენსიური წვიმა ამ დრომდე გრძელდება.

რუსეთის სოციალურ ქსელებში და ინტერნეტგამოცემებში უკვე აყენებენ ხელისუფლების პასუხისმგებლობის საკითხს. ხალხი ყურადღებას ამახვილებს იმ ცნობების შეუსაბამობაზე, რაც ოფიციალურად ვრცელდება. ჯერ პრეზიდენტ პუტინს პირდაპირ ეთერში მოახსენეს, რომ წყალსაცავიდან წყლის დაუგეგმავი გამოშვება შეუძლებელია და ტექნოლოგიურად არ არის გათვალისწინებული; მერე კი გაირკვა, რომ წყლის ავტომატური გამოშვება ხდებოდა. ჯერ ძნელია იმის თქმა, რამდენად იყო ეს წყალდიდობისა და ხალხის დაღუპვის მიზეზი, თუმცა ქალაქში წყლის დიდი რაოდენობით მოვარდნას ხელი ნამდვილად შეუწყო. "ბლოგოსფერო" აღშფოთებულია იმით, რომ 21-ე საუკუნეში რუსეთში არ მოქმედებს სტიქიური უბედურებების პროგნოზირებისა და ხალხისთვის შეტყობინების სამსახური. ხოლო საინჟინრო ნაგებობებზე (ამ შემთხვევაში, წყალსაცავებზე) საბჭოთა პერიოდში დამონტაჟებული მოწყობილობები მუშაობს, რომლების რემონტი და მოდერნიზაცია არ ხდება.

რუსეთი შიშობს, რომ ტაჯიკეთს ამერიკა და ჩინეთი ართმევენ

რუსულ მედიაში ერთ-ერთ აქტუალურ თემად რჩება სამხედრო ბაზების საკითხი ცენტრალურ აზიაში. ამ ეტაპზე ყველაზე "მძიმე" სიტუაციაა ტაჯიკეთთან ურთიერთობაში. ეჭვქვეშ დგას უმსხვილესი რუსული სახმელეთო ბაზის ბედი, რომელსაც მთელ რეგიონში რუსული ინტერესების დაცვაში მნიშვნელოვანი როლი აკისრია. ბოლო ორი კვირის განმავლობაში "24 საათი" უკვე არაერთხელ შეეხო ამ თემას, შესაბამისად, საკითხის არსი ჩვენი მკითხველისთვის უკვე ცნობილია.

ამ თემის კომენტირებისას მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტის პოსტსაბჭოთა სივრცის შემსწავლელი ცენტრის გენერალური დირექტორის მოადგილემ ალექსანდრ კარაგაევმა მედიას განუცხადა, რომ "201-ე სამხედრო ბაზისათვის იჯარის გაგრძელების საკითხში ტაჯიკეთის პოზიციის გამკაცრება გამოწვეულია იქ აშშ-ს და ჩინეთის გააქტიურებით, რაც ამ ქვეყანაზე მოსკოვის გავლენის დაკარგვის საფრთხეს ქმნის."

რუსულ მედიას მოჰყავს შესაბამისი ფაქტებიც, რითიც ამაგრებს კარაგაევის (და არა მარტო ამ უკანასკნელის) მოსაზრებას. როგორც ირკვევა, დუშანბე ამერიკის შეერთებულ შტატებთან მოლაპარაკებებს აწარმოებს, რომლის თანახმადაც, მათ უნდა გადაეცეთ ამერიკული სამხედრო ტექნიკისა და აღჭურვილობის ნაწილი ავღანეთიდან კოალიციის ჯარების გაყვანის შემდეგ. ტაჯიკეთის პრეზიდენტის ემომალი რახმონის ჩინეთში ამასწინანდელი ვიზიტის დროს მან თავისი სახელმწიფოსთვის მიიღო ორ მილიარდ დოლარიანი კრედიტი, რომლის შემდეგაც ჩინეთთან ურთიერთობებს "ტაჯიკეთის საგარეო პოლიტიკის პრიორიტეტი" უწოდა. შარშან დუშანბემ პეკინთან ხელი მოაწერა ხელშეკრულებას "ტერიტორიული დავის მოგვარებისა და საზღვრის დემარკაციის თაობაზე" და ამ ხელშეკრულების თანახმად ჩინეთს გადასცა მთიანი მასივის 1122 კვადრატული კილომეტრი - ტაჯიკეთის ტერიტორიის თითქმის ერთი პროცენტი.

იგივე კარაგაევი აღნიშნავს, რომ ბოლო პერიოდში მკვეთრად გააქტიურდა ტაჯიკეთის ურთიერთობები ინდოეთთან, ასევე სპარსეთის ყურის მონარქიებთან, ყველაზე მეტად, კატართან. ეს ყველაფერი კი რუსეთს ტაჯიკეთთან კავშირის მონოპოლიას და "უფროსი ძმის" ძველ როლს ართმევს.

რახმონი ბოლო პერიოდში აშკარად ცვლის ვექტორს მოსკოვიდან ვაშინგტონზე. ცოტა ხნის წინ, ამერიკის დამოუკიდებლობის დღის მისალოცად პრეზიდენტ ბარაკ ობამასთვის ამ გაგზავნილ წერილში მან პირდაპირ აღნიშნა, რომ ტაჯიკეთი აპირებს, კარდინალურად გააძლიეროს ამერიკული მიმართულება. ექსპერტები მიიჩნევენ, რომ დუშანბე ამერიკელებისთვის საჩუქრის სახით ამზადებს აეროპორტ "აინი"-ს. ამავე აეროდრომზე პრეტენზიას გამოთქვამენ რუსეთი და ინდოეთი. ტაჯიკეთის ოფიციალური პირები აქამდე ხშირად აცხადებდნენ, რომ "აინი"-ს არავის გადასცემდნენ მოსკოვის გარდა, მაგრამ ჯერ არც მას აძლევენ.

რაც შეეხება 201-ე სამხედრო ბაზას, აქ ექსპერტების აზრი ორად იყოფა. ზოგი მიიჩნევს, რომ მძიმედ მიმდინარე მოლაპარაკებების მიუხედავად, ტაჯიკეთი ბაზის იჯარის ვადის გაგრძელებით რუსეთზე მეტადაც არის დაინტერესებული. კერძოდ, ეს განაცხადა რუსეთის სამხედრო-ტექნიკური თანამშრომლობის ფედერალური სამსახურის დირექტორმა კონსტანტინ ბირიულინმა. მან დააზუსტა, რომ რუსეთისთვის სამხედრო ყოფნას ტაჯიკეთში ასევე ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს.

ეს ბაზა, რომელზეც სამ გარნიზონში 7 ათასამდე სამხედრო მოსამსახურე ირიცხება, სახმელეთო ჯარების უმსხვილესი ბაზაა რუსეთის ფედერაციის საზღვრებს გარეთ. მას ცენტრალური აზიის უსაფრთხოების უზრუნველყოფაში მნიშვნელოვანი როლი აკისრია. რუსეთის სახმელეთო ჯარების სარდალმა ვლადიმირ ჩირკინმა ჯერ კიდევ ივნისის ბოლოს განაცხადა, რომ ბაზის იჯარის ვადის გაგრძელების შესახებ მოლაპარაკებები ჩაშლის პირასაა მისული (ამის შესახებ ჩვენ უკვე ვწერდით). რუსეთის გენერალურ შტაბზე დაყრდნობით გავრცელდა ინფორმაცია, რომ რუსეთი უკვე აღარ გამოჰყოფს თანხებს ბაზის განვითარებისთვის, რადგან ჯერ მისი ბედი არ არის გარკვეული. ჩირკინის სიტყვებით, ტაჯიკეთმა წამოაყენა 20-მდე ძნელად მისაღები პირობა. ამას გარდა, მოლაპარაკებების დროს თავის მოთხოვნებს სულ ცვლის და ართულებს. ბოლო დღეებში გაირკვა ორიოდე დეტალიც, რომლის შემდეგაც უფრო უჩვეულოდ, ჩვენი აზრით, რუსული პოზიცია გამოიყურება. რუსეთს თურმე სურს, ახალ ხელშეკრულებას კაბალური 49 წლით მოეწეროს ხელი, ტაჯიკეთი კი 10 წელიწადს სთავაზობს. ამას გარდა, ტაჯიკეთი ბაზის იჯარისთვის ფულის გადახდას მოითხოვს. ცოტა გაურკვეველია, ამას რატომ უწოდებენ რუსები მიუღებელს. თურმე აქამდე, ოც წელზე მეტი ისინი ტაჯიკეთს ბაზის იჯარაში ფულს არ უხდიდნენ და მის გადახდას, ეტყობა, არც მომავალში აპირებდნენ.

ხუთშაბათს, კალინინგრადში დსთ-ს თავდაცვის მინისტრების საბჭოს სხდომაზე ტაჯიკეთის თავდაცვის მინისტრმა შერალი ხაირულოევმა შოკში ჩააგდო კოლეგები, რომლებსაც აღიარა, რომ ხელშეკრულების პროექტის რუსულ ვარიანტს არ იცნობს. მან თქვა, რომ დუშანბე საკუთარ ვარიანტს ამზადებს, "ჩვენი ვარიანტი ჯერ არავის მიუღია, ხოლო რუსული ვარიანტი ჯერ არავის წაუკითხავს." რუსეთის თავდაცვის მინისტრმა ანატოლი სერდიუკოვმა უპასუხა: "უნდა წაგეკითხათ, ჩვენ ის დიდი ხანია გამოგიგზავნეთ."

მოამზადა ივა შილაკაძემ

ავღანეთს 16 მილიარდით დაეხმარებიან

სალომე ჭანიაშვილი

იაპონიის დედაქალაქ ტოკიოში კვირას გაიმართა საერთაშორისო კონფერენცია, რომლის მიზანიც იყო ავღანეთის სამომავლო გეგმების განხილვა ქვეყნიდან ნატო-ს ჯარების გაყვანის შემდეგ, რაც 2014 წლისთვის არის დაგეგმილი.

საერთაშორისო თანამეგობრობა "გაარძელებს ავღანეთის მხარდაჭერას", - განაცხადა იაპონიის პრემიერ-მინისტრმა იოსიხიკო ნოდამ ტოკიოში კვირას გამართულ კონფერენციაზე. განცხადება ასევე გააკეთა აშშ-ს წარმომადგენელმა, რომლის თქმითაც, 2017 წლამდე ავღანეთს შეუძლია, დახმარების იმედი ჰქონდეს. კონფერენციის ფარგლებში ხელი მოეწერა შეთანხმებას, რომლის მიხედვითაც, ავღანეთი 2015 წლამდე მიიღებს ფინანსურ დახმარებას 16 მილიარდი დოლარის ოდენობით.

"ავღანეთს კიდევ ბევრი პრობლემა აქვს, მაგრამ შეგვიძლია, პატიოსნად ვაღიაროთ, რომ ბოლო 10 წლის განმავლობაში ბევრი რამ გაკეთდა ქვეყნის შემდგომი სტაბილურობისთვის. ჩვენ მომავალშიც გავაგრძელებთ ქაბულის მხარდაჭერას," - განაცხადა იაპონიის ლიდერმა.

ტოკიოს საერთაშორისო კონფერენციას ესწრებოდნენ 80-ზე მეტი ქვეყნის და ორგანიზაციის წარმომადგენლები, მათ შორის ავღანეთის პრეზიდენტი ჰამიდ ყარზაი, აშშ-ს სახელმწიფო მდივანი ჰილარი კლინტონი და გაერო-ს გენერალური მდივანი ბან კი მუნი.

იაპონიის საგარეო საქმეთა მინისტრი კოიტირო გემბა (ის თავის ავღანელ კოლეგასთან ზალმაი რასულთან და ავღანეთის ფინანსთა მინიტრ ომარ ზაჰილვალთან ერთად თავმჯდომარეობდა კონფერენციას) "დარწმუნებულია", რომ "ქაბული მომავალშიც გააგრძელებს მრავალმხრივ თანამშრომლობას თავის პარტნიორებთან და გააკეთებს ყველაფერს, რათა კიდევ უფრო განვითარდეს".

მოსალოდნელია, რომ ფინანსური დახმარების საერთო მოცულობა, რომელსაც ფენ ავღანეთს 2015 წლისთვის გამოუყო, 16 მილიარდ დოლარს გადააჭარბებს. საერთაშორისო თანამეგობრობის განცხადებით, თანხის ზუსტად ასეთი მოცულობაა საჭირო ქვეყნის აღდგენისა და განვითარებისთვის. ქაბული, თავის მხრივ, პირობას დებს, რომ დაიწყებს ბრძოლას კორუფციის წინააღმდეგ, ხელს შეუწყობს დემოკრატიული ფასეულობების განვითარებას, დაიცავს თავისი ხალხის უფლებებს და თავისუფლებებს.

იაპონია 2016 წლისთვის ეკონომიკის და ინფრასტრუქტურის განსავითარებლად დამატებით კიდევ 3 მილიარდ დოლარს გამოუყოფს ქაბულს. ამის შესახებ დეკლარაციას გუშინ დღოს ბოლოს მოეწერა ხელი.

ტოკიოს კონფერენციის ძირითადი მიზანი იყო, შეემუშავებინა ავღანეთის სტაბილური განვითარებისთვის საჭირო დახმარების სტარატეგია ქვეყნიდან ნატო-ს ჯარების გაყვანის შემდგომ. უსაფრთხოებაზე პასუხისმგებლობის ადგილობრივი ძალებისთვის გადაცემა 2014 წლისთვის იგეგმება. კონფერენციამდე ბევრი დონორი სახელმწიფო უარს ამბობდა ავღანეთის ფინანსურ დახმარებაზე, სანამ მისგან არ მიიღებდა სრულ გარანტიას ამ თანხების გამჭვირვალედ ხარჯვაზე.

კონფერენციამდე ერთი დღით ადრე ვაშინგტონმა ნატო-ს არაწევრ სახელმწიფოს - ავღანეთს მთავარი მოკავშირის სტატუსი მიანიჭა. ამის შესახებ შაბათს ქაბულში აშშ-ს სახელმწიფო მდივანმა ჰილარი კლინტონმა განაცხადა. მან ავღანეთის პრეზიდენტ ჰამიდ ყარზაისთან მოლაპარაკებების დასრულების შემდგომ აღნიშნა, რომ ამერიკა არ დატოვებს ავღანეთს დახმარების გარეშე. "ჩვენ ვერც კი წარმოგვიდგენია, რომ ჯარების გაყვანის შემდეგ შესაძლოა, მოგვიწიოს ავღანეთის მიტოვება ბედის ამარა," - განაცხადა კლინტონმა პრესკონფერენციაზე და დასძინა, რომ ავღანეთის ახალი სტატუსი წარმოადგენს "იმ ვალდებულებების ნათელ სიმბოლოს, რომლებიც ვაშინგტონმა ავღანეთის მიმართ იკისრა."

მსგავსი სტატუსი მინიჭებული აქვს ავტრალიას, ეგვიპტეს, ისრაელს და კიდევ რამდენიმე სხვა სახელმწიფოს. ეს სტატუსი ავღანეთს საშუალებას მისცემს, უფრო მჭიდრო თანამშრომლობა ჰქონდეს აშშ-სთან სამხედრო სფეროში და მასთან ერთად მონაწილეობა მიიღოს სამეცნიერო-კვლევით პროექტებში. ახალმა სტატუსმა, რომელიც ძალაში შევიდა გამოცხადებისთანავე, მათ შორის ხელი უნდა შეუწყოს სამხედრო ტექნიკითა და იარაღით ვაჭრობას ორ ქვეყანას შორის, თუმცა ავღანეთი ამერიკისგან ახალი იარაღის შესყიდვას კიდევ რამდენიმე წელი ვერ შეძლებს.

დავით მარსაგიშვილი
თავისუფალი ჭიდაობა

BP – საქართველოს მხარდასაჭერად

ჩვენ გვეამაყება, რომ ხელს ვუწყობთ საქართველოს სპორტსმენების წარმატებას 2012 წლის ლონდონის ოლიმპიურ თამაშებში.
BP. ჩვენი წვლილი ქვეყნის წარმატებაში

bp

ოფიციალური პარტნიორი

0%-დან

შეიძინეთ
ახალი ან მეორადი
ავტომობილი

ბანკი რესპუბლიკა
BANK REPUBLIC
ჯგუფი სოსიეთე ჟენერალი

290 90 90
* 90 90
BR.GE

დღეს საოპერო ფესტივალი იწყება

9-25 ივლისს კონსერვატორიის დიდ დარბაზში პირველად გაიმართება საერთაშორისო ფონდის "თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრის" მიერ დაფუძნებული "თბილისის საოპერო ფესტივალი". ფესტივალი დღეს საღამოს იწყება.

"თბილისის საოპერო ფესტივალი" ოთხ ღონისძიებას მოიცავს. დღეს საღამოს გაიმართება კონცერტი, რომლის პროგრამაშია პეტრე ჩაიკოვსკის "სერენადა" სიმებიანი ორკესტრისთვის და კონცერტი ვიოლინოსა და სიმფონიური ორკესტრისთვის. შემდგომი სამი საღამო დაეთმობა ჯუზეპე ვერდის ოპერებს - 15 ივლისს შესრულდება "ნაბუქო", 20 ივლისს "ატილა", 25 ივლისს "ტრუბადური" (წარმოდგენილი იქნება ოპერების საკონცერტო ვერსიები).

"თბილისის საოპერო ფესტივალის" საბაზო კოლექტივია ზაქარია ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრი, მისი სოლისტები, გუნდი (მთავარი ქორმაისტერი - ავთანდილ ჩხენკელი, ქორმაისტერი - შალვა შაორშაძე), სიმფონიური ორკესტრი (კონცერტმაისტერი - ლელა მჭედლიძე). ფესტივალის სპეციალური სტუმრები არიან - სახელგანთქმული ახალგაზრდა მევიოლინე ვალერი სოკოლოვი, ანტონინის უნივერსიტეტის გუნდი (ბეირუთი, ლიბანი), საზღვარგარეთ წარმატებით მოღვაწე ახალგაზრდა ქართველი მომღერალი რამაზ ჩიკვილაძე, რომელიც ატილას პარტიას შეასრულებს ვერდის

"ატილაში", სადაც თბილისის ოპერის თეატრის გუნდთან ერთად იმღერებს ანტონინის უნივერსიტეტის გუნდიც. "თბილისის საოპერო ფესტივალის" აუდიტორია შეხვდება ოპერის თეატრის სოლისტებს: გია ასათიანს, მაყვალა ასპანიძეს, სულხან გველესიანს, გოჩა დათუსანი-ჯიღაურს, არმაზ დარაშვილს, თეა დემურიშვილს, ლეგი იმედაშვილს, მანანა იორდანიშვილს, ნიკოლოზ ლაგვილავას, გიორგი მახარაძეს, ირაკლი მურჯიკნელს, ელენა პუტილოვას, ირინე რატიანს, თამაზ საგინაძეს, მიშელინა ქობალიანს, ტარიელ ჭიჭინაძეს, ზაალ ხელაიას, ანზორ ხიდაშელს. საფესტივალო საღამოებს წარუძღვება იტალიელი დირიჟორი, თბილისის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრის მუსიკალური ხელმძღვანელი ჯანლუკა მარჩანო.

- "საუკუნეების მანძილზე თბილისს საოპერო ხელოვნების ჭეშმარიტ კერად მიიჩნევდნენ. ქართული ვოკალური სკოლის წარმომადგენლები დღესაც ბრწყინავენ მსოფლიო საოპერო სცენებზე და აღაფრთოვანებენ ოპერის მოყვარულებს.

საოცარია "ოპერის სამყარო" ათასგვარი ამბებით - კომპოზიტორთა, დირიჟორთა, მომღერალთა "თავგადასავლებით" აღსავსე...

ამ ხელოვნების მიმართ უზომო სიყვარულმა მაფიქრებინა საოპერო ფესტივალის შექმნა. თუმცა, ეს ჩემი ან ჩვენი თეატრის პირდაპირი მოვალეობა არ გახლავთ. ვოცნებობდით გამოჩენილიყო ვინმე, ვინც დააფუძნებდა ფესტივალს, სადაც სხვებთან ერთად, ჩვენ ერთ-ერთ მონაწილედ მოგვიწვევდა ყოფნა. მოგეხსენებათ, მაღალი რანგის ფესტივალის ჩატარებას ძალიან დიდი შრომა, ბევრი ადამიანი და თავდადება სჭირდება. ამ საქმის ხორცშესხმას ახალი ორგანიზაცია და სტრუქტურა სჭირდება. დიდხანს ველოდე იმ ადამიანს, რომელიც შექმნიდა საქართველოში, - სადაც სამი საოპერო თეატრია, - საერთაშორისო ფესტივალს, მაგრამ მიუხედავად ბევრი ლაპარაკისა, ასეთი მაინც არავინ გამოჩნდა...

და აი, მე და ჩემმა მეგობრებმა: ჩვენი ოპერის სოლისტებმა, ორკესტრის მუსიკოსებმა, ადმინისტრაციის წევრებმა, გადავწყვიტეთ დამოუკიდებლად დაგვეარსებინა "თბილისის საოპერო ფესტივალი", - ჯერჯერობით მოკრძალებული მასშტაბით, მაგრამ ჩვენი თეატრისთვის ისტორიულად უმნიშვნელოვანეს პერიოდში!ვიმედოვნებ, რომ ამ ფესტივალს საუკუნეების მანძილზე ეყოლება ერთგული მაყურებელი.

თქვენ კი, ძვირფასო სტუმრებო, გისურვებთ, რომ არსად წასვლა და ხეტიალი არ მოგიწიოთ ნამდვილი, ჭეშმარიტი საოპერო თავგადასავლების საძიებლად და ეს ყველაფერი ჩვენს "თბილისის საოპერო ფესტივალზე" გეპოვოთ!", - ამბობს ფესტივალის დამფუძნებელი დავით საყვარელიძე.

24 საათი

266 დღე შაირში

პიტერ ჯექსონმა "ჰობიტის" გადაღება დაასრულა და მონტაჟს იწყებს

ია ვეკუა

"ჩვენ ეს გავაკეთეთ! "ჰობიტის" 266-დღიანი გადაღებები დასრულდა. ფილმში მონაწილე ყველა მსახიობს და გადამღები ჯგუფის წევრებს მადლობას ვუხდი მხარდაჭერისთვის. ახლა კი სამონტაჟო ოთახი გველის და, რა თქმა უნდა "კომიკ კონიც!" - წერს საკუთარ "ფეისბუქის" გვერდზე რეჟისორი პიტერ ჯექსონი, რომელმაც ფილმ "ჰობიტის" ბედით დაინტერესებულ მილიონობით ადამიანს ამგვარად ახარა გადაღებების დასრულების შესახებ და ისიც შეახსენა, რომ პრემიერამდე სულ უფრო ცოტა დრო რჩება. ეს მიმდინარე წლის 14 დეკემბერს მოხდება და მოდით, აქედანვე ვიოცნებოთ, რომ ახალი წლის დადგომამდე ეს ფილმი ჩვენც გვექნება დიდ ეკრანზე ნანახი.

2012 წელი ბლოკბასტერების მხრივ მეტ-ნაკლებად საინტერესო იყო, მაგრამ აქამდე გამოსული ყველა ფილმი არაფერია იმ მოლოდინთან შედარებით როგორითაც მგზნებარე ტოლკინისტები ჯექსონის "ჰობიტს" ელიან - სხვაგვარად არც შეიძლება ყოფილიყო, რადგან იმავე ჯექსონის მიერ 2001-2003 წლებში გადაღებულმა "ბეჭდების მბრძანებლის" ტრილოგიამ ისეთივე მრავალრიცხოვანი ფანკლუბები შექმნა, როგორიც "ვარსკვლავურ ომებს" ან ახლა უკვე "სამეფო კარის თამაშებს" აქვს.

ინტერნეტში დიდი ხანია "ჰობიტის" (ფილმის სრული სახელწოდებაა The Hobbit: An Unexpected Journey) ტრაილერი დევს, ორიოდე დღის წინ კი სპეციალურად გამოფენა "კომიკ კონისთვის" შექმნილი პოსტერიც გამოჩნდა, რომელზეც მწვანე მდელოს გაყოლებაზე ბილიკზე მომავალი გენდალფია გამოსახული. პირველები სწორედ ივლისში დაგეგმილ სან დიეგოს "კომიკ კონის" სტუმრები ნახავენ იმ სცენებსა და კადრებს, რომლებიც ტრაილერში არ შესულა - ცხადია, მხოლოდ მათ, რომლებსაც ჯექსონი გამოიმეტებს და პროექტის რეკლამისთვისაც მომგებიანი იქნება. ამ გამოფენას ჯექსონი ხშირად იყენებს ტრიბუნად: სწორედ 2009 წლის "კომიკ კონზე" განაცხადა პირველად, რომ "ჰობიტს" ორ ფილმად გადაიღებდნენ, ხოლო რეჟისორი გილერმო დელ ტორო იქნებოდა. იქვე გახდა ცნობილი, რომ პიტერ ჯექსონი მხოლოდ პროდიუსერის ამპლუას მოირგებდა და სცენარის ხარისხზეც გაინაწილებდა პასუხისმგებლობას, მაგრამ გადაღებების დაწყება იმდენად გაჭიანურდა, რომ დელ ტორომ ლოდინს ვერ გაუძლო, სხვა პროექტებზე გადაერთო, რეჟისორის სკამი კი ჯექსონს დაუთმო.

"ჰობიტმა" დღემდე ბევრი ბარიერი გადალახა. 2008 წლამდე ფილმის მწარმოებელ კომპანია "ნიუ ლაინსა" და ჯექსონს შორის საავტორო უფლებებთან დაკავშირებული დავა მიმდინარეობდა, რამაც ამ უკანასკნელის პროდიუსერის პოზიციაზე გადაბარგება გამოიწვია, ხოლო რეჟისორად დელ ტორო დანიშნეს (რაც, საბოლოოდ ისევ შეიცვალა). გავიდა დრო და ფილმის მეორე მწარმოებელი კომპანია MGM-ი ბანკროტობის პირას აღმოჩნდა, რაც ნიშნავდა, რომ მსხვილბიუჯეტიან პროექტს ხელს ვერ მოჰკიდებდა. გადაღებები კიდევ ერთხელ გადადეს და დელ ტოროც წავიდა. სიტუაცია მხოლოდ 2010 წლის ოქტომბერში გამოსწორდა და გადაღებების დაწყების თარიღიც დაასახელეს, თუმცა ამჯერად ახალი ზელანდიის მსახიობთა გილდიამ წამოიწყო პროტესტის ტალღა, რომლის წარმომადგენლებიც აცხადებდნენ, რომ ახალზელანდიელ მსახიობებს ძალიან ცოტას უხდიდნენ, რის გამოც ისინი მასობრივ სცენებში მონაწილეობაზე უარს ამბობდნენ. თითქოს გადაწყდა კიდეც, რომ "ჰობიტი" სხვა ქვეყანაში გადაეღოთ, მაგრამ სადავეები ხელში ახალი ზელანდიის პრემიერ-მინისტრმა აიღო და მსახიობებსაც ანაზღაურება გაუზარდეს. ერთი სიტყვით, ფილმმა დღემდე დაახლოებით ის გზა გამოიარა, რაც მორდორისკენ მიმავალმა ფროდომ და სემმა და მათ კვალში ჩამდგარმა გოლუმმა.

ახალი ფილმის სამსახიობო შემადგენლობა ნაწილობრივ განახლებულია, თუმცა "ბეჭდების მბრძანებლის" პერსონაჟებს იგივე მსახიობები თამაშობენ. მაგალითად, კეი ბლანშეტი კვლავ გალადრიელია, იან მაკელენი - გენდალფი, ორლანდო ბლუმი ისევ ლეგოლასის ისრით დარბის, კრისტოფერ ლი კი სარუმანის მრისხანებას შეგვახსენებს. ცხადია, აქვეა ენდი სარკისი - გოლუმის როლის ბრწყინვალედ შემსრულებელი, იან ჰოლმი - მოხუცი ბილბო ბეგინსი და ყველაზე საინტერესო პერსონაჟი - ახალგაზრდა ბილბო, რომლის როლსაც ბრიტანელი მარტინ ფრიმენი ასრულებს.

"ჰობიტი" მომავალ წელსაც გაგრძელდება. დილოგიის მეორე ფილმი - "ჰობიტი: იქით და უკან" მსოფლიო ეკრანებზე 2013 წელს გამოვა, ამის შემდეგ კი პიტერ ჯექსონი მორიგ პროექტს, "ტენტენის თავგადასავალი: მზის ტყვეებს" მოჰკიდებს ხელს.

ნაგოიას ბაშოს პირველ დღეს გაგამარუს არ გაუმართლა

აიჩის პრეფექტურის ქალაქ ნაგოიაში სტარტი აიღო ივლისის ბაშო. სუპერტურნირის პირველი დღეს ქართველ სუმიტორთაგან გამარჯვებები იზეიმეს ტოჩინოშინიმ და კოკაიმ. უმაღლესი მაკუუჩი დივიზიონის ყველაზე მძიმე წევრისთვის გაგამარუსთვის კი ბაშო წაგებით დაიწყო.

ტოჩინოშინის შიკონათი ცნობილმა ლევან გორგაძემ, რომელიც ნაგოიას ტურნირს აღმოსავლეთის მეოთხე მაეგაშირას წოდებით შეხვდა, მასზე ერთი საფეხურით მაღლა მდგომი მაეგაშირა შოჰოძანი დაამარცხა.

თეიმურაზ ჯუღელმა იგივე გაგამარუმ "ციურ მგლად" წოდებული მონღოლი მეექვსე მაეგაშირა შოტენრო მავაშით (ერთგვარი სარტყელი) კი დაიჭირა, მაგრამ წონასწორობა მაინც ვერ შეინარჩუნა და დამარცხდა.

ქართული სუმოს პიონერმა ლევან ცაგურიამ რანგით მეორე ძურიოს დივიზიონში წარმატებული სტარტი აიღო. 31 წლის კოკაიმ ათი წლით უმცროსი კოტიუკი ჰატაკიკომიზე დაიჭირა. "შავი ზღვა" ივლისის სუპერტურნირს აღმოსავლეთის მეშვიდე რეიტინგით შეხვდა და ცხადია, უმთავრეს მიზნად ელიტაში დაბრუნება აქვს დასახული.

დასასრულ მოგახსენებთ, რომ ნაგოიას ტურნირი სენსაციების გარეშე გაიხსნა. იოკოძუნა ჰაკუჰომ და ექვსიანე ოძეკიმ (კისენოსატო, კოტოშოგიკუ, ბარუტო, ჰარუმაფუჯი, კოტოოშუ, კაკურიუ) ნაგოიას ბაშო გამარჯვებით გახსნა.

"შალკემ" ყენიას ტრანსფერი დაადასტურა

გელზენკირხენის "შალკეს" ოფიციალური ვებგვერდის ინფორმაციით, 21 წლის ქართველი შემტევი ლევან ყენია სანკტ პეტერბურგის "ზენიტის" ფეხბურთელი გახდა.

ამ ტრანსფერზე დიდი ხანია საუბრობენ, თუმცა, რუსული კლუბის ოფიციალური პირები არაფერს ამბობენ.

ყენიასა და "ზენიტს" შორის კონტრაქტი 1+2 სისტემით გაფორმდება. ქართველი ფეხბურთელის პრეზენტაცია უახლოეს პერიოდში შედგება.

დაწვი რონალდინიოს მაისური!

ბრაზილიური საფეხბურთო კლუბი "ფლამენგო", რომელსაც სასამართლოს ძალით გააწყვეტინეს კონტრაქტი რონალდინიოსთან, ცდილობს ფეხბურთელს სამაგიერო გადაუხადოს. კლუბის მესვეურებმა წამოიწყეს აქცია "დაწვი რონალდინიოს მაისური".

"დინიოს" მაისურები და სხვა საკლუბო ატრიბუტიკა დიდი ფასდაკლებით იყიდება. კლუბის მესვეურები მოუწოდებენ ფანებს, მაისურები ყიდვისთანავე დაწვან.

ამჟამად რონალდინიო კლუბ "ატლეტიკო მინეიროს" ღირსებას იცავს. რაც შეეხება "გაუჩოსა" და "ფლამენგოს" ურთიერთობას, აქ უფრო კლუბია დამნაშავე, ვიდრე ფეხბურთელი. საქმე ის არის, რომ თითქმის მთელი გასული სეზონი რონალდინიო "ფლამენგოს" რიგებში უხელფასოდ თამაშობდა. სეზონის ბოლოს ფეხბურთელს ანაზღაურების გარეშე თამაში მობეზრდა და კლუბს კონტრაქტის გაწყვეტა სთხოვა. "ფლამენგოს" მესვეურებმა ეს არ ისურვეს და ცდილობდნენ, ერთ დროს მსოფლიოს საუკეთესო ფეხბურთელი შეენარჩუნებინათ, თან ხელფასის გადახდის გარანტიასაც არც იძლეოდნენ. ბოლოს რონალდინიომ სასამართლოს მიმართა და ამ გზით დააღწია თავი "ფლამენგოს".

ლონდონში წამსვლელ ძიუდოისტთა ვინაობა ცნობილია

გიგა გურასაშვილი

ვარაუდს, თუ ვინ დაიკავებდა ადგილს ლონდონის ოლიმპიური თამაშებისთვის საქართველოს ძიუდოისტთა ნაკრებში, წერტილი დაესვა. ნაკრების მწვრთნელმა პიტერ ზაიზენბახერმა რჩეული შვიდეული გუშინ დაასახელა ძიუდოს აკადემიაში.

წინასწარი ინფორმაციით, ზაიზენბახერს ლონდონში წამსვლელთა ვინაობა შაბათს უნდა გაეხმოვანებინა, მაგრამ პრესკონფერენცია გუშინდელისთვის გადადო.

გამართლდა შემადგენლობასთან დაკავშირებით მოარული ხმები, რაც ზუსტად დაემთხვა კიმონოების მწარმოებელი და დისტრიბუტორი უმსხვილესი ბრიტანული ფირმის Fighting Films-ის მიერ თავის ვებგვერდზე რამდენიმე დღის წინ გავრცელებულ ფოტოს, რომელზეც სწორედ ის შვიდეულია აღბეჭდილი, რომელიც დღეს დაასახელა ზაიზენბახერმა.

"საქართველოს 2012 წლის ოლიმპიური ნაკრები" - ასეა დასათაურებული ფოტო, რომლის მიხედვით საქართველოს ნაკრების შემადგენლობა ფაქტობრივად წინასწარ იყო გაცხადებული.

შვიდი წონითი კატეგორიიდან ოთხში თავიდანვე გარკვეული იყო, რომ 66 კილოგრამში ლონდონში ლაშა შავდათუაშვილი იასპარეზებდა, 73-ში - ნუგზარ ტატალაშვილი, 81-ში - ავთანდილ ქრიკიშვილი, ხოლო 90-ში - ვარლამ ლიპარტელიანი. ასე რომ, ძიუდოს აკადემიაში დღევანდელი შეხვედრის მთავარი მიზეზი იყო დარჩენილი სამი წონითი კატეგორია, რომელშიც მწვრთნელს უნდა დაესახელებინა რჩეულები. კერძოდ, ნაკრების დამრიგებელს 60 კილოგრამში ამირან პაპინაშვილსა და ბეთქილ შუკვანს შორის უნდა გაეკეთებინა არჩევანი, 100 კგ-ში - ირაკლი ცირეკიძესა და ლევან ჟორჟოლიანს, ხოლო მძიმე წონაში - ადამ ოქრუაშვილსა და ზვიად ხანჯალიაშვილს შორის. სიისთვის თვალის გადავლებამდე ნაკრების მწვრთნელის კომენტარს გავეცნოთ.

"60 კილოგრამში დიდი კონკურენცია იყო. მსოფლიო რეიტინგით თუ ვიმსჯელებთ, შედარებით უკეთესი მაჩვენებელი ჰქონდა ამირან პაპინაშვილს, მაგრამ ბოლო ტურნირებისა და შეკრებების გათვალისწინებით და რიგი ფაქტორების აწონ-დაწონვით გადავწყვიტე, რომ ამ ეტაპზე წარმატების მეტი შანსი აქვს ბეთქილ შუკვანს", - ამბობს ზაიზენბახერი. - რაც შეეხება 100 კილოგრამ წონით კატეგორიას, ირაკლი ცირეკიძე ძლიერი სპორტსმენია, რაც არაერთგზის დაუმტკიცებია. დარწმუნებული ვარ, ოლიმპიურ თამაშებზეც ერთ-ერთი ფავორიტი იქნებოდა, მაგრამ მის ადგილს ლევან ჟორჟოლიანი დაიკავებს. ძალიან მინდოდა ლონდონში ცირეკიძე წასულიყო, მაგრამ არაფერი გამოვიდა. გუშინ მთელი დღე ვცდილობდი დამეყოლიებინა ირაკლი. მითხრა, რომ ფსიქოლოგიურად არ არის მზად. არადა, სრული დატვირთვით და მონდომებით ემზადებოდა".

მძიმე წონაში ნაკრების წევრად ადამ ოქრუაშვილი გამოცხადდა, რაც გარკვეულწილად ზვიად ხანჯალიაშვილის ტრავმიანობამაც განაპირობა.

პროგნოზებთან დაკავშირებით პიტერ ზაიზენბახერი თავშეკავებული იყო. მისი თქმით გუნდი ოლიმპიური საზომებით გამოუცდელი წევრებითაა დაკომპლექტებული. მიუხედავად ამისა, მედლებისთვის ბრძოლა მაინც შეგვიძლია. კარგი მოსამზადებელი ეტაპები გავიარეთ და კარგ ფორმაშიც ვართო.

ოლიმპიადის წინ დასკვნით შეკრებას საქართველოს ძიუდოისტთა ნაკრები ბორჯომში გაივლის.

საქართველოს ნაკრები:
60 კგ.
ბეთქილ შუკვანი
66 კგ.
ლაშა შავდათუაშვილი
73 კგ.
ნუგზარ ტატალაშვილი
81 კგ.
ავთანდილ ქრიკიშვილი
90 კგ.
ვარლამ ლიპარტელიანი
100 კგ.
ლევან ჟორჟოლიანი
+100 კგ.
ადამ ოქრუაშვილი

შენგელიამ "ნეთსის" მწვრთნელი მოხიბლა

პირველი გვერდიდან

"გასულ წელს ევროპაში ვიყავი და თორნიკეს ნახვის შანსი არ მომეცა. მაგრამ ჩვენი გუნდის სკაუტებმა ნახეს 500 ახალგაზრდა ბიჭის ვიდეორგოლი. ვერ ვიტყვი, რომ მეც ხუთასივეს თამაში ვნახე, მაგრამ ზუსტად შემიძლია გითხრათ, რომ 250 რგოლს მეც ვუყურე. შენგელია იმ კალათბურთელთა შორის არ ყოფილა", - უთხრა აივერ ჯონსონმა www.nj.com-ის ჟურნალისტ კოლინ სტეფენსონს, რომელმაც ნიუ ჯერსის ინტერნეტ გვერდზე თორნიკეს ვრცელი სტატია მიუძღვნა.

როგორც ირკვევა, აივერი ჯონსონმა შენგელიას თამაში პირველად ორიოდე დღის წინ რეზერფორდში, PNY center-ში იხილა, სადაც თოკო საზაფხულო ლიგისთვის ემზადება.

"მომეწონა, რაც ვნახე. ის ცბიერია, იცის, როგორ ითამაშოს. ვარჯიშებზე ჩვენი თამაში ევროპული შეტევის სტილში გადაიზარდა, რომელიც ძირითადად პიკ-ენ-როლს გულისხმობს და შენგელიამ ეს სტილი ძალიან კარგად იცოდა. ის პერიმეტრიდან კარგად უტევდა", - ამბობს აივერ ჯონსონი.

სტატიის ავტორი კი PNY center-ში გამართულ ვარჯიშზეც გვიამბობს. "ორმხრივი თამაშისას თორნიკემ ულევი ენერგია და გამძლეობა გამოავლინა. ის არაფრით არ ჩამოუვარდებოდა მარშონ ბრუკსს (ბრუკსი შარშანდელი დრაფტის 25-ე ნომერია და გასულ სეზონში "ნეთსის" შემადგენლობაში საშუალოდ 12,6 ქულას აგროვებდა), გამოამჟღავნა პასის გადაცემის შესანიშნავი ალღო და ჩააგდო რამდენიმე შორეული სროლა.

ყველაზე შთამბეჭდავი კი ტორინ გრინისგან მიღებული ალე-უპით ბურთის ჩატენვა იყო. ამით თორნიკემ, საკუთარი თავის გარდა, ყველა მოხიბლა. "ჩემი შესაძლებლობები ბოლომდე ვერ გამოვავლინე, კმაყოფილი არ ვარ, - თქვა შენგელიამ და დასძინა, - მინდა უკეთესი ვიყო და ვაპირებ, უფრო კარგად ვითამაშო".

ბოლოს ისევ "ნეთსის" მწვრთნელს დავუბრუნდეთ.

"თავიდან ვფიქრობდი, რომ თამაშის დასახვეწად მას ევროპაში გავუშვებდით, მაგრამ ეს გეგმა, შესაძლოა, შეიცვალოს. ორლანდოს კემპზე ხუთი მატჩი გვაქვს შენგელიაზე დასაკვირვებლად, რომელიც ისეთი ადამიანივით თამაშობს, რომელსაც აქაურობის დატოვება და უკან დაბრუნება არ სურს".

ფრე "სლოვანთან" მატჩის წინ

"ზესტაფონი" სალიგო სამზადისს განაგრძობს

მიხეილ აბაიშვილი

საქართველოს ჩემპიონი ზესტაფონის "ზესტაფონი" ევროტურნირებს 17 ივლისს შეუერთდება. გია ჭიაბრიშვილის გუნდს უეფას ჩემპიონთა ლიგის მეორე საკვალიფიკაციო ეტაპზე ბაქოს "ნეფთჩის" წინააღმდეგობის დაძლევა მოუწევს. ახლა "ზესტაფონი" ავსტრიაშია, სადაც სანვრთნელ შეკრებას გადის და ტესტმატჩებსაც მართავს. ორი დღის წინ გუნდმა მორიგი სპარინგი ჩაატარა, რომელშიც მისი მეტოქე იყო რუმინეთის ერთ-ერთი საუკეთესო კლუბი, ბუქარესტის "სტიაუა". მართალია, გასულ სეზონში გუნდმა ვერ შეძლო ოქროს მედლების მოპოვება, მაგრამ "ვარსკვლავი" (ასე ითარგმნება სიტყვა "სტიაუა" რუმინულიდან) თავისი ქვეყნის ყველაზე ტიტულოვანი კლუბია. "სტიაუამ" რუმინეთის ჩემპიონატი 23-ჯერ, ხოლო ქვეყნის თასი 25-ჯერ მოიგო. "ზესტაფონი" და "სტიაუა" ადრე უკვე შეხვედრიან ერთმანეთს. ეს ერთი წლის წინ მოხდა. მაშინ მატჩი რუმინელთა მინიმალური გამარჯვებით - 1:0 დასრულდა.

საანგარიშო მატჩი დაბა უტენდორფის სტადიონზე 7 ივლისს გაიმართა. შეხვედრა საქართველოს ჩემპიონის სრული უპირატესობით ჩატარდა. "ზესტაფონი" ბურთს აკონტროლებდა, ასე ვთქვათ, პირველ ნომრად თამაშობდა და დიდი ძალებით უტევდა, მეტოქე კი თავს იცავდა და კონტრიერიშებზე ამყარებდა იმედს. გოლის გატანის შესაძ-

ლებლობა შეექმნა როგორც ერთ, ისე მეორე გუნდს, მაგრამ შედეგიან დარტყმამდე არ მისულა საქმე და თამაში უგოლოდ - 0:0 დასრულდა. "ზესტაფონმა" ეს მატჩი ასეთი შემადგენლობით ჩაატარა: კვახაძე (მამალაძე, 69`), ღონღაძე (ბენაშვილი, 69`), კობახიძე (კაჭკაჭიშვილი, 69`), საჯაია (თედო გრიგალაშვილი, 46`), ელიავა (თორნიკე გრიგალაშვილი, 69`), მენთეშაშვილი (მუჯირი, 46`), გორგიაშვილი (რაჟამაშვილი, 72`), აფციაური (ბაბუნაშვილი, 62`), შარიქაძე (სამუშია, 75`), ოვონიკოკო (სარდალიშვილი (62`), დვალი (გუგუჩია, 62`).

Eს "ზესტაფონისთვის" ავსტრიულ შეკრებაზე ჩატარებული მეორე საკონტროლო მატჩი იყო. პირველ შეხვედრაში ფეროელებმა ბულგარეთის თასის გამარჯვებული, პლოვდივის "ლოკომოტივი" დაამარცხეს ანგარიშით 3:2.

ამავე დღეს ასევე ავსტრიულ შეკრებაზე მყოფმა "ზესტაფონის" მეტოქემ უფრო წარმატებული სპარინგი ჩაატარა. "ნეფთჩისაც" რუმინეთის ერთ-ერთი საუკეთესო გუნდი, ბუქარესტის "დინამო" ჰყავდა სპარინგად. ის თამაში აზერბაიჯანელებმა 2:0 მოიგეს. ამ შეხვედრაში ანგარიში 33-ე წუთზე გახსნა იმამვედრდიევმა, რომელსაც "ნეფთჩის" სიერალეონელმა ლეგიონერმა ჯულიუს ვობეიმ გაუწია ასისტირება. მანვე გაიტანა მეორე გოლი და ის მატჩის საუკეთესო მოთამაშედ აღიარეს. სავარაუდოდ, სწორედ ამ ფორვარდის განეიტრალება იქნება "ზესტაფონის" დაცვის ხაზის მთავარი ამოცანა.

მორიგ სპარინგს "ზესტაფონი" 10 ივლისს გამართავს. მისი მეტოქე იქნება ჩეხური საკლუბო ფეხბურთის ერთ-ერთი ლიდერი, ლიბერეცის "სლოვანი".

წვიმა იყო, გადაიღო

დიდი ბრიტანეთის დიდი პრიზი | ავსტრალიელს დარჩა

გიგა გურასაშვილი

ფორმულა 1-ის მეცხრე ეტაპი - დიდი ბრიტანეთის დიდი პრიზი სანახაობის მხრივ არაფრით ნაკლები არ უნდა ყოფილიყო ადრეულ ეტაპებთან შედარებით, რაც ჯერ კიდევ სიურპრიზებით გაჯერებულ შაბათის კვალიფიკაციაზე გამართლდა.

კვალიფიკაციის უმთავრეს მოვლენა ამინდი გამოდგა, რომელმაც არია როგორც მრბოლელები, ისე მათი გულშემატკივრები. შაბათის საკვალიფიკაციო რბოლებისას სილვერსტოუნის ავტოდრომზე ცა ჩამოიქცა. ტრასა იმდენად დაიტბორა, რომ ბოლიდების ნაცვლად წყლის სკუტერებით რომ ეასპარეზათ ამის წინააღმდეგი არავინ იქნებოდა. ამავე მიზეზებით "კეტერჰემის" მრბოლელებმა და მაკლარენელმა ჯენსონ ბატონმა კვალიფიკაციის დასრულებაც ვერ შეძლეს.

მსგავს პირობებს ყველაზე უკეთ აუღო ალღო "ფერარის" ესპანელმა მრბოლელმა ფერნანდო ალონსომ, რომელმაც მოიგო კვალიფიკაცია. ძირითადი რბოლისთვის ესპანელთან ერთად ნიშანსვეტთან დგომას გამოკრა ხელი რედბულელმა მარკ უებერმა. ესპანელსა და ავსტრალიელს შესაბამისი განლაგებით უკან ამოუდგნენ მიხაელ შუმახერი ("მერსედესი") და უებერის თანაგუნდელი სებასტიან ფეტელი.

შაბათისგან განსხვავებით კვირას ძირითადმა რბოლამ გართულებების გარეშე ჩაიარა - გამოიდარა. მშრალ ტრასაზე მიცემული სტარტის შემდეგ მოწინავეთა რიგებში მდგომმა მრბოლელებმა საკუთარი ადგილები შეინარჩუნეს. მერე და მერე კი წყალიც აიმღვრა.

პიტ-სტოპების პირველმა ტალღამ ერთი კანონზომიერება გვიჩვენა - მრბოლელთა დიდმა ნაწილმა რბილი საბურავები ხისტი საბურვაბით შეცვალეს, რაც ბუნებრივიც იყო. საქმე ისაა, რომ თითქმის ყველა საჯინიბომ საკუთარი ბოლიდები კვალიფიკაციაზე მიღებული მწარე გამოცდილების გათვალისწინებით, წვიმაზე აკეთებდნენ აქცენტს. ამინდი კი მზიანი გამოდგა, ტრასა მშრალი. ასე რომ, რბილი საბურავების საჭირობა აღარ იყო.

20 წრის შემდეგ სილვერსტოუნის ტრასაზე მოწინავე საფეხურს ინარჩუნებდა ალონსო.

ერთგვარი გარდამტეხი გამოდგა შემდეგი 15 წრე და მეორე პიტ-სტოპების ტალღა. ჯერ ის, რომ მაკლარენელმა ლუის ჰამილტონმა შვიდი საფეხური დაკარგა და მეცხრეზე ჩამოქვეითდა. მეორეზე დაწინაურდა ფეტელი, ხოლო მესამეზე გადაინაცვლა ფენანდო ალონსოს ბრაზილიელმა თანაგუნდელმა ფელიპე მასამ.

დრო და დრო კიდევ რაღაცეები შეიცვალა. გამარჯვებულის ბედი კი ბოლო წრეებზე გაირკვა. რბოლის დასრულებამდე ხუთი წრით ადრე ჯერაც პელოტონის თავში მოკალათებულ ალონსოს "ფერარის" მოსახვევში გვერდი აუქცია მარკ უებერის "რედ ბულმა". საქმე იქამდეც კი მივიდა, რომ ესპანელს მეორე საფეხურის შესანარჩუნებლად მთელი თავისი ოსტატობის გამოყენება დასჭირდა. დაწინაურებაზე მეტად მეორე საფეხურის შენარჩუნებით იყო დაკავებული. ყველაფერი კი იმით დასრულდა, რომ დიდი ბრიტანეთის დიდი პრიზი მარკ უებერის გამარჯვებით დასრულდა და იქვე ალონსოს გაუთანაბრდა მიმდინარე სეზონში მოგებული რბოლების რაოდენობით. ავსტრალიელი და ესპანელი ერთადერთნი არიან, რომლებსაც მიმდინარე ჩემპიონატში ორ-ორი გამარჯვება უმაგრებთ ზურგს.

მესამე ადგილი დაიკავა მსოფლიოს მოქმედმა ჩემპიონმა სებასტიან ფეტელმა.

დიდი ბრიტანეთის დიდი პრიზი

სილვერსტოუნის წრიული, 52 წრე
საერთო მანძილი: 306.198 კმ.. ტრასის სიგრძე: 5.891 კმ.

1. მარკ უებერი (ავსტრალია, რედ ბული) 1:25:11.288
2. ფერნანდო ალონსო (ესპანეთი, ფერარი) +3.0
3. სებასტიან ფეტელი (გერმანია, რედ ბული) +4.8
4. ფელიპე მასა (ბრაზილია, ფერარი) +9.5
5. კიმი რაიკონენი (ფინეთი, ლოტუსი) +10.3
6. რომენ გროჟანი (საფრანგეთი, ლოტუსი) +17.1
7. მიხაელ შუმახერი (გერმანია, მერსედესი) +29.1
8. ლუის ჰამილტონი (ბრიტანეთი, მაკლარენი) +36.4
9. ბრუნო სენა (ბრაზილია, უილიამსი) +43.3
10. ჯენსონ ბატონი (ბრიტანეთი, მაკლარენი) +44.4
11. კამუი კობაიაში (იაპონია, ზაუბერი) +45.3
12. ნიკო ჰულკენბერგი (გერმანია, ფორს ინდია) ++47.8
13. დანიელ რიკიარდო (ავსტრალია, ტორო როსო) +51.2
14. ჟან-ერიკ ვერნი (საფრანგეთი, ტორო როსო) +53.3
15. ნიკო როსბერგი (გერმანია, მერსედესი) +57.3
16. პასტორ მალდონადო (ვენესუელა, უილიამსი) +1 წრე
17. ჰეიკი კოვალაინენი (ფინეთი, კატერჰემი) +1 წრე
18. ტომო გლოკი (გერმანია, მარუსია) +1 წრე
19. შარლ პიკი (საფრანგეთი, მარუსია) +1 წრე
20. პედრო დე ლა როსა (ესპანეთი, ისპანია) +2 წრე
21. ნარაინ კართიკეიანი (ინდოეთი, ისპანია) +2 წრე
22. სერხიო პერესი (მექსიკა, ზაუბერი) +41 წრე
23. პოლ დი რესტა (ბრიტანეთი, ფორს ინდია) +50 წრე
24. ვიტალი პეტროვი (რუსეთი, კატერჰემი) გამოეთიშა

როჯერ I

ზურაბ თალაკვაძე

როჯერ ფედერერის ბოლო აკორდი კიტ რიჩარდსის რიფინგზე, ნიქ ქეივის ლექსებზე, ჯონ ლენონის ლირიკაზე, რობერტ პლანტის სექსუალურ ქვითინზე, მარკ ნოპფლერის სოლოზე მსუყე იყო. ფედერერმა უიმბლდონი მეშვიდედ მოიგო. როჯერმა ბოლო გარჩევაში ენდი მარის ჯერ თითი დაუქნია, ცოტა მერე ყური აუწია და ბოლო სეტის ბოლო ქულის დროს ოცნება წაართვა. ფედერერმა ფინალი 4:6, 6:4, 7:5, 6:3 აიღო.

ფედერერი მეშვიდედ იგებს უიმბლდონს. პიტ სამპრასის ტერიტორია. ამერიკელი ჯეკპოტებს ბეკერების, შტიხების, კრაიჩეკების და რაფტერების დროს ხსნიდა. როჯერი ესპანელი პიტბულის, სერბი კრიმინალის, არგენტინელი კარგი ბიჭის და ენდი მარის უხერხემლო თამაშის დროს აგვარებს საქმეებს. ფედერერმა ბოლო პეიზაჟი დატოვა და მეჩვიდმეტედ მოიგო ერთეულებში დიდი სლემის ტურნირი.

ფინალამდე მარი როჯს პირადულში 8:7 უგებს. მარი კარგი ბიჭია, რაღაცას მოიგებს, რაღაცას ვერ გაშიფრავს და ენდიმ ფედერერის მეშვიდე სიმფონიის მოსმენა, გაგება, დამახსოვრება უნდა დაამუღამოს. მარი წინა თაობის ბრიტზე, ტიმ ჰენმანზე ცოტა მოქნილად აზროვნებს და გრეგ რუზეცკიზე ბევრჯერადია. ის ბიჭები სამპრასთან, რაღაც მომენტში ივანიშევიჩთან და რაფტერთან აჭრეს.

როჯის და მარის წინა გარჩევები, თხუთმეტივე VS ჰარდზე იყო. ბალახზე პირველი საჩოგბურთო ვუდსტოკი წავიდა და როჯმა ჯო კოკერივით დაგლიჯა. მარი დაღლილი ჯენის ჯოპლინი იყო.

როჯერი მერვედ გადის უიმბლდონის ფინალში და მეშვიდედ იღებს ოსკარს. ფედერერი წითელ ხალიჩაზე გავიდა და ხალიჩას არ ეხებოდა. როჯმა ოსკარს ოსკარი წაართვა და სპორტის ელჩმა კიდევ ერთი ლამაზი მისია დაასრულა. ყველაფერი მშვენივრად მორჩა.

ახალ რეიტინგში როჯერი უკვე პირველია. ნოვაკ ჯოკოვიჩი მეორეზე ზის და ის არანორმალური ესპანელი მესამემდე ჩააჩოჩეს. ნადალმა ჰარდის გარჩევებში უნდა აკრიფოს და ჯოკოვიჩიც აზრზე მოვა.

ფედერერი ბოლო ორ სეზონში ნაოჭებში იჯდა და ფედერერმა ჩოგბურთის ჯორდანობა იკისრა. უეინ გრეცკი, მუჰამედ ალი, ფედერერი, ჰერ შუმახერი, ოლე ეინარ ბიორნდალენი. პანთეონში დიდი ხალხი ისვენებს და ფედერერი ჩოგბურთის ჯაზია. ცოტა მშვიდი.

პიტი პირველ ადგილზე 286 კვირით იჯდა. ფედერერიც. კიდევ ერთი რეკორდი მოიხსნება. ფედერერი სტატისტიკაზე მთქმელი და სრულყოფილია. უნაკლო პერსონა და სითბოში დასვენებული სპორტის ანგელოზი.

მარიმ უნდა ისწავლოს. და ისწავლის. ან ვერ ისწავლის და წავა.

როჯერ ფედერერის ბოლო აკორდი კიტ რიჩარდსის რიფინგზე, ნიქ ქეივის ლექსებზე, ჯონ ლენონის ლირიკაზე, რობერტ პლანტის სექსუალურ ქვითინზე, მარკ ნოპფლერის სოლოზე მსუყე იყო. ფედერერმა უიმბლდონი მეშვიდედ მოიგო. როჯერმა ბოლო გარჩევაში ენდი მარის ჯერ თითი დაუქნია, ცოტა მერე ყური აუწია და ბოლო სეტის ბოლო ქულის დროს ოცნება წაართვა.

კლიჩკოსთან ტომპსონმა მატჩამდე წააგო

გიგა გურასაშვილი

კლიჩკოს მუშტებთან უძლური ტომპსინი მეექვსე რაუნდში ტექნიკური ნოკაუტით დამარცხდა

ყველაფერი წინასწარ იყო გათვლილი და განსაზღვრული. ბუკმეკერებმა ვლადიმირ კლიჩკოს ტონი ტომპსონზე გამარჯვებისთვის სიმბოლური ფსონი - 1.06 გაიღეს, ტიტულის მოცილე ამერიკელის შესაძლო წარმატებისთვის კი - 8.5. ფაქტობრივად იმთავითვე დასამარცხებლად განწირულმა ტონიმ საბუკმეკერო კანტორები არ დააღალატა - კრივის მსოფლიო ორგანიზაციის (WBO), ასოციაციის (WBA), საერთაშორისო ფედერაციისა (IBF) და საერთაშორისო ორგანიზაციის (IBO) უკრაინელ ჩემპიონს ბერნის Stade de Suisse არენაზე ექვს რაუნდში დანებდა.

ორთაბრძოლისთვის მზადება ბევრად უფრო სანახაობრივი გამოდგა, ვიდრე თავად მატჩი.

ვლადიმირ კლიჩკომ ტრადიციულად აღნიშნა მეტოქის ძალა და იქვე იწინასწარმეტყველა, ადვილი ბრძოლა არ იქნებაო. ვლადიმირის ძმამ, კრივის მსოფლიო საბჭოს ჩემპიონმა ვიტალიმ კი "ფეისბუქზე" დაწერა, დიდი ბრძოლა იქნებაო. ძმები კლიჩკოების ვარაუდი არ გამართლდა. პირველივე რაუნდში გამოიკვეთა ვლადიმირის უდავო უპირატესობა. მან ამერიკელს არავითარი შანსი არ მისცა. მხოლოდ ის იყო გასარკვევი, რომელ რაუნდში გაუსწორდებოდა 36 წლის უკრაინელი 40 წლის ამერიკელს.

პირველი ოთხი რაუნდი დასამახსოვრებელი ეპიზოდებით არ გამოირჩეოდა. სიტუაცია მეხუთე რაუნდის დასრულებამდე წუთ-ნახევრით ადრე დაიძაბა, როდესაც უკრაინელმა ჩემპიონმა ტიტულის მოცილე ამერიკელი ბაგირებთან მიამწყვდია და მარჯვენა ძლიერი დარტყმით მძიმე ნოკდაუნში ჩააგდო. მართალია, ტომპსონი წამოდგა და რაუნდი დაასრულა, მაგრამ იგივე მდგომარეობაში აღმოჩნდა მეექვსე რაუნდის მიწურულსაც - უკრაინელის მუშტებთან უძლური ტონი ტომპსონი რინგზე დაეცა. ახლაც, ისევე როგორც პირველ შემთხვევაში, წამოდგომა შეძლო, მაგრამ რეფერიმ ბრძოლის შეწყვეტა ითხოვა. ვლადიმირ კლიჩკომ (58 მოგება, აქედან 51 ნოკაუტით და 3 წაგება) ტონი ტომპსონზე მეექვსე რაუნდში ტექნიკური ნოკაუტით გაიმარჯვა.

კლიჩკოსა და ტომპსონის (36 მოგება, აქედან 24 ნოკაუტით და 3 წაგება) გზები პირველად ოთხი წლის წინათ გადაიკვეთა. მაშინ უკრაინელმა ამერიკელი მეთერთმეტე რაუნდში ჩააგდო ნოკაუტში.